ხელშეკრულება N51
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(წარმომადგენლობითი ხარჯები)

ქ. თბილისი **30 აპრილი 2015 წელი**

ჩვენ, ერთის მხრივ, **სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო** (შემდგომში - ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **გიორგი ციკოლიას** სახით (**მის:** ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18; **ტელ:** 2960010; **ს/კ:** 204582763; **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900),
მეორეს მხრივ, **შპს „აიღვინისსახლი"** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის **ბენედიქტე ქაშაკაშვილის** სახით (**მის:** ქ.თბილისი, ელენე ახვლედიანის აღმართი N4; **ტელ:** 2555888 **ს/კ:** 406128275; **საბანკო რეკვიზიტები:** სს "საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22 ა/ა GE64BG0000000855567400),
"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (ო/კოდი 24010302) 2015 წლის დაფინანსების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული საქმიანი შეხვედრების დროს გასამართი სადილის ან/და ვახშამის სარესტორნო მომოსახურება (CPV55511000).
1.2. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ელენე ახვლედიანის აღმართი #4, რესტორანი „ვინოტელი".
1.3. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
1.4. მენიუს შედგენა იწარმოებს ადგილზე.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით და შეადგენს არაუმეტეს 3 000,00 (სამი ათასი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.
2.3 შემსყიდველის მხრიდან ანაზღაურება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მენიუ-ჩეკის და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (არსებობის შემთხვევაში), მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე არაუგვიანეს 2016 წლის 31 იანვრისა.

5. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტო

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ციკოლია

"მიმწოდებელი"
შპს „აიღვინისსახლი"

დირექტორი

ბენედიქტე ქაშაკაშვილი